პროექტის ექსპერტიზა

დამკვეთი: შპს „სტუდია 21“

405044768

მისამართი: ქ. თბილისი, თ. აბულაძის ქ. №21



თბილისი 2023

შპს „ატლანტი“ „ATLANT“ LTD

22.12.2023 წელი

ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში მდებარე №33-ე საპროექტო შენობის (ს/კ 01.13.07.024.026) მშენებლობის პროცესის ზეგავლენა მიმდებარე ნაგებობებზე

შპს „ატლანტის“ დირექტორი ჯ.ბუშელიძე

№049 „19“ დეკემბერი 2023 წ.
№3ე 12-2023

თბილისი
2023

საქართველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ.
ტელ: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

სარჩევი

1	შესავალი ----------	4
1.2	დამკვეთის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია ----------	5
2	ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) საპროექტო №33-ე შენობის მშენებლობის პროცესის მიმდებარე ნაგებობებზე ზეგავლენის სფეროს დადგენა ----------	6
3	ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე №33-ე შენობის მიმდებარე ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევა და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება -----	7
4	ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე №33-ე საპროექტო შენობის მიმდებარე ნაგებობებზე ზეგავლენის შეფასება ---	11
5	საექსპერტო დასკვნა ----------	16
6	გამოყენებული ნორმატიული და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტაციის ჩამონათვალი ----------	17
	ფოტომასალა ---------- 18-	19

საქარველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ.
ტელ: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

1. შესავალი

სამუშაო შესრულებულია შპს „სტუდია 21“-ის (405044768) დაკვეთით (ხელშეკრულება №049; 19.12.2023წ). ხელშეკრულების თანახმად გამოკვლეული იქნა ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) საპროექტო №33-ე შენობის მშენებლობის პროცესის ზეგავლენა მიმდებარე ნაგებობებზე და მომზადებული იქნა შესაბამისი საექსპერტო დასკვნა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული საექსპერტო შეფასებისათვის შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

1. ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) საპროექტო №33-ე შენობის მშენებლობის პროცესის, მიმდებარე ნაგებობებზე ზეგავლენის სფეროს დადგენა;
2. ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) საპროექტო №33-ე შენობის მიმდებარე ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევა და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება;
3. ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) საპროექტო №33-ე შენობის მშენებლობის პროექტით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოთა ზეგავლენის შეფასება მიმდებარე ნაგებობებზე და კომუნიკაციებზე;
4. გამოკვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე საექსპერტო დასკვნის მომზადება.

საქართველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ. IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 598597959 Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com E-mail: atlant.ltd7@gmail.com

1.2 დამკვეთის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია

- ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) საპროექტო №33-ე შენობის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შედეგები, შემსრულებელი ინჟინერ-გეოლოგები: ა. პასიკაშვილი;
- ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) საპროექტო №33-ე შენობის მუშა პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, შემსრულებელი ინჟინერ-კონსტრუქტორი ბ. შუბითიძე;
- ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) საპროექტო №33-ე შენობის მზიდი კონსტრუქციების საანგარიშო კომპიუტერული მოდელი და ანგარიში, შემსრულებელი ინჟინერ-კონსტრუქტორი ვ. სოზიაშვილი.

საქარველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ.
ტელ: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

2. **ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) საპროექტო №33-ე შენობის მშენებლობის პროცესის მიმდებარე ნაგებობებზე ზეგავლენის სფეროს დადგენა**

საპროექტო №33-ე შენობის მშენებლობა გათვალისწინებულია ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) (სურ. 10). დანიშნულების მიხედვით საპროექტო შენობა მრავალფუნქციურ ნაგებობას წარმოადგენს. პროექტის მიხედვით იგი ორსართულიანია. სართულებს შორის ვერტიკალური კომუნიკაცია ხორციელდება კიბის საშუალებით. შენობას გეგმაში მართკუთხა მოხაზულობის ფორმა აქვს, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით 27,90×15,10(მ).

სამშენებლო მოედანს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება გამწვანებული ტერიტორია, სამხრეთიდან დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) არსებული №22, 23-ზე მდებარე შენობა. დასავლეთიდან დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) არსებული №34-ე შენობა და ჩრდილოეთიდან დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) არსებული №11-ე ნაგებობა.

ნორმატიული დოკუმენტის [9], 9 თავის, 9.36 პუნქტის მიხედვით, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) ასაშენებელი №33 ე შენობის პროექტის შესაბამისად, მშენებლობის ზეგავლენის ზონაში იმყოფება შემდეგი ნაგებობები (შენობები):

1. **ნაგებობა №1** - სამშენებლო მოედნის სამხრეთით არსებული დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე №22, 23-ე მდებარე შენობა;
2. **ნაგებობა №2** - სამშენებლო მოედნის დასავლეთით დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე №34 შენობა;
3. **ნაგებობა №3** - სამშენებლო მოედნის ჩრდილოეთიდან დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე №11 შენობა;

საქარველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ.
ტელ: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

3. ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე №33-ე შენობის მიმდებარე ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევა და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება

წინამდებარე პარაგრაფში მოყვანილია დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე საპროექტო №33-ე შენობის მიმდებარე ნაგებობების ვიზუალური გამოკვლევის შედეგები. დაფიქსირებულია აღნიშნული შენობების და კომუნიკაციების მზიდი კონსტრუქციების დაზიანებები, შეფასებულია მათი ტექნიკური მდგომარეობა.

ნაგებობა №1 - დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე №22, 23-ე შენობა საპროექტო შენობას სამხრეთიდან ესაზღვრება. იგი გეგმაში რთული მოხაზულობის ნაგებობაა (სურ. 1, 2, 3). აღნიშნული შენობა საპროექტო შენობისაგან 6მ მანძილითაა დაშორებული.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა აგურის წყობით შესრულებულ მზიდკედლებიან ნაგებობას წარმოადგენს. მზიდი აგურის კედლები განლაგებულია, როგორც გრძივი ასევე განივი მიმართულებით. შენობის კედლები შესრულებულია კერამიკული აგურის I ტიპის წყობით. კედლების აგურის წყობაში გამოყენებულია სტანდარტული 250×120×65მმ კერამიკური აგური. დუღაბად გამოყენებულია ქვიშა-კირ-ცემენტის (რთული) ხსნარი. შენობის სახურავი ორქანობიანია. სახურავის მზიდი კონსტრუქციები ხის მასალითაა მოწყობილი.

შენობას ახლახან ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, მოხდა მისი მზიდი კონსტრუქციების გაძლიერება-გამაგრება. გაძლიერდა მისი ლენტური საძირკვლები, დაზიანებული კედლები. შენობის სახურავის დონეზე მოეწყო მონოლითური რკინაბეტონის ანტისეისმური სარტყელი. გარემონტდა სახურავის გადახურვაში ხის წამწეები, შეიცვალა სახურავის საბურველი. შენობის ფასადის კედლების ნაწილი შეილესა ქვიშა-ცემენტის ხსნარით და შეიღება.

საქართველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ. IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 598597959 Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com E-mail: atlant.ltd7@gmail.com

შენობის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული შენობის მზიდ კონსტრუქციებზე არ ფიქსირდება არავითარი დაზიანებები, ბზარები და საძირკვლების ჯდომით გამოწვეული დეფორმაციები.

აქედან გამომდინარე ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე №22, 23-ე შენობა მდგრადია სტატიკური და სეისმური დატვირთვების ზემოქმედების მიმართ.

გამოკვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული შენობის მზიდი კონსტრუქციების დაზიანებები, საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [5], დანართი V, პარაგრაფი 5.1.3-ზე დაყრდნობით, დაზიანებათა კლასიფიკაციის სეისმური ინტენსივობის შკალა MCK-64-ის მიხედვით, I ხარისხისაა (მსუბუქი დაზიანებები).

ამასთან ერთად საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [8], დანართი II, ცხრილი II-2-ს მიხედვით, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე №22, 23-ე შენობის მზიდი კონსტრუქციები ნორმალურ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება I კატეგორიას.

ნაგებობა №2 - სამშენებლო მოედანს დასავლეთის მხრიდან დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე №34 შენობა ესაზღვრება (სურ. 4, 5, 6). აღნიშნული შენობიდან საპროექტო შენობამდე 7მ-ია. ნაგებობა №2 გეგმაში მართკუთხა ფორმისაა.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა აგურის წყობით შესრულებულ მზიდკედლებიან ნაგებობას წარმოადგენს. მზიდი აგურის კედლები განლაგებულია, როგორც გრძივი ასევე განივი მიმართულებით. შენობის კედლები შესრულებულია კერამიკული აგურის I ტიპის წყობით. კედლების აგურის წყობაში გამოყენებულია სტანდარტული 250×120×65მმ კერამიკური აგური. დუღაბად გამოყენებულია ქვიშა-კირ-ცემენტის (რთული) ხსნარი.

საქარველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ. IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 598597959 Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com E-mail: atlant.ltd7@gmail.com

შენობა ახალი გარემონტებულია. შენობას უახლოეს პერიოდში ჩატარებული აქვს სარეკონსტრუქციო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. გარემონტებული და გაძლიერებულია მისი მზიდი კონსტრუქციები. შეიცვალა სახურავის მზიდი კონსტრუქციები და საბურველი. მოწესრიგებული აქვს სახურავიდან წყლის გადამყვანი წყალსარინი სისტემა.

შენობის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული შენობის მზიდ კონსტრუქციებზე არ ფიქსირდება არავითარი დაზიანებები, ბზარები და საძირკვლების ჯდომით გამოწვეული დეფორმაციები.

გამოკვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული შენობის მზიდი კონსტრუქციების დაზიანებები, საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [5], დანართი V, პარაგრაფი 5.1.3-ზე დაყრდნობით, დაზიანებათა კლასიფიკაციის სეისმური ინტენსივობის შკალა MCK-64-ის მიხედვით, I ხარისხისაა (მსუბუქი დაზიანებები).

ამასთან ერთად საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [8], დანართი II, ცხრილი II-2-ს მიხედვით, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე №34 შენობა მზიდი კონსტრუქციები ნორმალურ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება I კატეგორიას.

ნაგებობა №3 - სამშენებლო მოედანს ჩრდილოეთის მხრიდან დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე №11 შენობა ესაზღვრება (სურ. 7). შენობა ერთსართულიანია. გეგმაში რთული მოხაზულობისაა. აღნიშნული შენობიდან საპროექტო შენობამდე დაშორება 2მ-ია.

შენობის ძირითადი ნაწილი წრიული მოხაზულობისაა. სასზედ შემდგომ პერიოდში განხორციელებული უსახური მიშენება. ძირითადი შენობისა და მიშენებული შენობის მზიდი კედლები აგურის I ტიპის წყობითაა შესრულებული. კონსტრუქციულად შენობა აგურის მზიდკედლებიან ნაგებობას წარმოადგენს. შენობის წრიული ნაწილი

საქარველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ. IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 598597959 Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com E-mail: atlant.ltd7@gmail.com

გადახურულია რკინაბეტონის კონსტრუქციით. საბურველი მოწყობილია მონაჰიდროიზოლის ფენით. საბურველი ძლიერ დაზიანებულია. შენობის მიშენება გადახურულია შავი თუნუქის ფურცლებით, რომლებიც ძლიერ დაჟანგულია.

შენობის ძირითად წრიულ ნაწილზე დაზიანებები და ბზარები არ ფიქსირდება. შენობის მიშენებულ ნაწილში განვითარებულია ძლიერი ჯდომითი დეფორმაციები, რაც მიშენების საძირკვლებისა და ფუძის სუსტ მზიდუნარიანობაზე მეტყველებს. მიშენების კედლები დაბზარულია გამჭოლი ვერტიკალური და დახრილი ბზარებით (სურ. 8, 9).

გამოკვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული შენობის მზიდი კონსტრუქციების დაზიანებები, საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [5], დანართი V, პარაგრაფი 5.1.3-ზე დაყრდნობით, დაზიანებათა კლასიფიკაციის სეისმური ინტენსივობის შკალა MCK-64-ის მიხედვით, III ხარისხისაა (მმძიმე დაზიანებები).

ამასთან ერთად საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [8], დანართი II, ცხრილი II-2-ს მიხედვით, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე №34 შენობა მზიდი კონსტრუქციები არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება III კატეგორიას.

საქარველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ.
ტელ: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

4. ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე №33-ე საპროექტო შენობის მიმდებარე ნაგებობებზე ზეგავლენის შეფასება

საპროექტო შენობის მშენებლობა გათვალისწინებულია ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026). პროექტი ითვალისწინებს მრავალფუნქციური შენობის მშენებლობას, რომელიც გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა. შენობა ორსართულიანი რომელშიც განთავსებულია სხვადასხვა დანიშნულების სათავსოები და ორსინათლიანი დარბაზი.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ტოპოგეგმა 1:500 ზომსადარით. პირობით ნიშნულს ∇ ±0,00 (I სართულის იატაკის დონე) შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული ∇402,57.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე, რომლებიც ჩატარებულია ნორმატიული დოკუმენტების [2, 9, 10] მოთხოვნათა დაცვით, დადგინდა, რომ საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით ტერიტორია მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ვინაიდან სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარედ საშიში გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევა და ა.შ.) არ აღინიშნება და მათი ჩასახვა არც მომავალშია მოსალოდნელი.

ჰიდროლოგიური პირობების მიხედვით საკვლევი უბანი გამოკვლეულ სიღრმეზე არ ხასიათდება გრუნტის წყლების არსებობით.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ნორმატიული დოკუმენტის [10], მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, უბანი მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

საველე სამუშაოების და ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემების ანალიზის საფუძველზე აგებული იქნა გამოსაკვლევი ტერიტორიის გამონამუშევრების

საქარველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ. IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 598597959 Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com E-mail: atlant.ltd7@gmail.com

სვეტების ლითოლოგიური და გეოლოგიური ჭრილები. უბნის ამგები გრუნტები შედგება ოთხი ფენისაგან, რომლებშიც გამოიყო ოთხი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (**სგე**):

I სგე - თიხა (ფენა 2);

II სგე - კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3);

III სგე - ძირითადი ქანები გამოფიტული (ფენა 4);

IV სგე - ძირითადი ქანები გამოფიტული (ფენა 5).

ნაყარი გრუნტი (ფენა 1) **სგე**-ედ არ განიხილება.

სამშენებლო ნორმებისა და წესების [1]-ის შესაბამისად, საქართველოს სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით, სამშენებლო მოედანი განეკუთვნება 8 ბალიან ზონას. ტერიტორიის ფუძე-გრუნტების სეისმური თვისებების გათვალისწინებით (უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებით მიეკუთვნება II კატეგორიას), სამშენებლო უბნის სეისმურობა განისაზღვრა 8 ბალით. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.17.

პროექტის მიხედვით შენობის დაფუძნება განხორციელებულია მონოლითური რკინაბეტონის ლენტური საძირკვლებით II სგე-ზე (ფენა 3), რომლის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია: სიმკვრივე ρ=1.95გ/სმ^3; შიგა ხახუნის კუთხე φ=38^0; ხვედრითი შეჭიდულობა C=0,05კგ/სმ^2; პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0=4,0კგ/სმ^2, დეფორმაციის მოდული E=450კგ/სმ^2, საგების კოეფიციენტი k=6,0კგ/სმ^3, პუასონის კოეფიციენტი μ=0,27 (იხ. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა. დანართი 1).

პროექტის მიხედვით ქვაბულის ძირის ნიშნული არის ∇-3,70 (∇400,12). შესაბამისად ქვაბულის კედლების სიმაღლე იცვლება დიაპაზონში 1,8~2,4მ. აქედან გამომდინარე აუცილებელია ინჟინერ-გეოლოგების რეკომენდაციების მიხედვით (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა), ქვაბულის პროექტში გათვალისწინებული იქნას ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ქვაბულის ფერდების მდგრადობას.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით რაიმე ტიპის საშიში მოვლენის ჩასახვა და განვითარება მოსალოდნელია მხოლოდ ტექნოგენური ფაქტორებით, კერძოდ სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას ფერდის უკონტროლო ჩამოჭრის და

საქარველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ. IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 598597959 Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com E-mail: atlant.ltd7@gmail.com

კლიმატური ფაქტორების თანხვედრის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, ნორმატიული დოკუმენტების [10]-ის 3.11 და 3.15 პუნქტების, აგრეთვე [13]-ის მე-9 თავის მოთხოვნების სრული დაცვით და ინჟინერ-გეოლოგების რეკომენდაციების მიხედვით (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა), ქვაბულის კედლები უნდა მოეწყოს გრუნტის ბუნებრივი დახრის კუთხით. საპროექტო და მიმდებარე შენობებს შორის მანძილები იმდენად დიდია, რომ თავისუფლად იძლევა ამ ღონისძიების გატარების შესაძლებლობას.

შენობის კომპიუტერული სივრცული მოდელის ანგარიშის და მუშა პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ იგი შესრულებულია საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების [1, 2, 3] სრული დაცვით, შესაბამისად აღნიშნული ნაგებობა არავითარ საშიშროებას არ შეუქმნის მეზობელი შენობების მდგრადობას და უსაფრთხო ექსპლოატაციას.

ქვაბულის მოწყობა, შენობის საძირკვლების და რკინაბეტონის კარკასის მონტაჟის სამუშაოები პროექტის მიხედვით ხდება ეტაპობრივად შემდეგი თანმიმდევრობით (იხ. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. დანართი 2):

- ტერიტორიის სამშენებლო ნაგვისაგან გაწმენდა და შემოღობვა;
- შემდეგ ხდება ქვაბულში გრუნტის ექსკავაცია საპროექტო ნიშნულამდე. ქვაბულის გრუნტის მოჭრა ხდება მისი ბუნებრივი დახრის კუთხის მიხედვით;
- ქვაბულის ფუძე მიღებულ უნდა იქნეს ინჟინერ-გეოლოგის მიერ და გაფორმდეს შესაბამისი აქტი სამშენებლო წესების და ნორმების დაცვით.
- შემდეგ ქვაბულის ფსკერი იფარება 100მმ სიმაღლის შემკვრივებული ღორღის ფენით;
- ღორღის ფენაზე ეწყობა 100მმ სიმაღლის ბეტონის მომზადება (ბეტონის კლასი B15);
- ბეტონის მომზადებაზე ხდება მონოლითური რკინაბეტონის ლენტური საძირკვლების განთავსება;
- ამ სამუშაოების შესრულების შემდეგ ხდება მიწისზედა სამშენებლო სამუშაოთა განხორციელება.

საქარველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ. IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 598597959 Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com E-mail: atlant.ltd7@gmail.com

სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, მიმდებარე ნაგებობების და კომუნიკაციების უსაფრთხო ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად, მუშა პროექტის არქიტექტურული, კონსტრუქციული და საინჟინრო ნაწილის შესაბამისად, სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა დაამუშაოს მშენებლობის სამუშაოთა წარმოების პროექტი საქართველოში მოქმედი სამშენებლო რეგლამენტების, პროექტირების ნორმებისა და უსაფრთხოების ნორმების [6, 7, 11, 12, 13] დაცვით. მშენებლობის წარმოების პროექტი შეთანხმებული უნდა იყოს დამკვეთთან და საპროექტო ორგანიზაციასთან.

სამუშაოთა წარმოების პროექტში გათვალისწინებული უნდა იქნეს სამშენებლო მოედნის შემოღობვა ფარებით მოწყობილი დროებითი ღობით. უშუალოდ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების თანმიმდევრობა, სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგია და შერჩეული მანქანა-მექანიზმები უნდა იძლეოდეს საშუალებას პროექტით გათვალისწინებული ნაგებობის მშენებლობის პროცესი, განხორციელდეს მეზობელ ნაგებობებზე ზეგავლენის მინიმიზაციის პირობებში. ქვაბულიდან გრუნტის ამოღება და თვითმცლელებზე დატვირთვა უნდა მოხდეს მცირე გაბარიტიანი უკუჩამჩიანი ექსკავატორის გამოყენებით და ხელით.

სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იქნას, როგორც მშენებარე, ასევე მიმდებარე ნაგებობების მონიტორინგი.

ობიექტზე ყველა სამშენებლო სამუშაოს განხორციელება უნდა მოხდეს ტექნიკური რეგლამენტი [6]-ის („შენობა ნაგებობების უსაფრთხოების წესები“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016 წლის 28 იანვარი) მოთხოვნების დაცვით, რაც გამორიცხავს სამშენებლო პროცესის მეზობელ ნაგებობებზე ზემოქმედებას. ამიტომ პროექტში დამუშავებული რეკომენდაციები და მითითებები სრულყოფილად უნდა იქნას გათვალისწინებული სამშენებლო კომპანიის მიერ, როგორც სამუშაოთა წარმოების პროექტის დამუშავებისას, ასევე უშუალოდ მშენებლობის პროცესში.

ამრიგად, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე №33-ე საპროექტო შენობის მშენებლობისათვის შემუშავებული მუშა პროექტი

საქარველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ.
ტელ: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

შესრულებულია საქართველოში მოქმედი სახელმწიფო სტანდარტების, პროექტირების ნორმების და სხვა სამშენებლო რეგლამენტების სრული დაცვით. შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების პროცესი ვერავითარ უარყოფით ზეგავლენას ვერ მოახდენს მიმდებარე ნაგებობებზე.

საქარველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ.
ტელ: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

5.საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე №33-ე შენობის მუშა პროექტი შესრულებულია საქართველოში მოქმედი პროექტირების ნორმების და სხვა სახელმწიფო რეგლამენტების სრული დაცვით. შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების პროცესი არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს სამშენებლო მოედნის მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე. პროექტში გატარებული ღონისძიებები უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო ექსპლოატაციას.

საქარველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ.
ტელ: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

6. გამოყენებული ნორმატიული და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტაციის ჩამონათვალი

1. სამშენებლო ნორმები და წესები „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09);
2. სამშენებლო ნორმები და წესები „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08);
3. სამშენებლო ნორმები და წესები (პნ 03.01-09) „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“;
4. დაპროექტების ნორმები (პნ 01.05-08) „სამშენებლო კლიმატოლოგია“;
5. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. <<კ.ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი>>, თბილისი 1992 წ;
6. ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა ნაგებობების უსაფრთხოების წესები“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016 წლის 28 იანვარი;
7. ტექნიკური რეგლამენტი - „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №361, 2014 წ. 27 მაისი;
8. Пособие по обследованию строительных конструкции здании. АО <<ЦНИИПРОМЗДАНИИ>>, Москва 1997 г.;
9. СП 22.13330.2011 „Основания здании и сооружении“, Москва 2011 г.;
10. СП 45.13330.2017 (СНиП 3.02.01-87) „Земляные сооружения, основания и фундаменты“, Москва,1988 г.;
11. СП 48.13330.2011 Организация строительства, Москва,2011 г.;
12. СТО НОСТРОЙ 2.33.14-2011 Организация строительного производства, Москва, 2011г.
13. СНиП III-4-80* „Техника безопасности в строительстве“. Москва 1981.

საქარველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ. IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 598597959 Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com E-mail: atlant.ltd7@gmail.com



სურათი 1



სურათი 2



სურათი 3



სურათი 4



სურათი 5



სურათი 6

საქართველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ.
ტელ: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com



სურათი 7



სურათი 8



სურათი 9



სურათი 10

საქართველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ.
ტელ: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

შპს „ატლანტი“ „ATLANT“ LTD

ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, მოამზადეს ექსპერტად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სპეციალისტ(ებ)მა:

წინასწარი შეცნობით ყალბი დასკვნის გაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვართ ს.ს.ს.კ. 370-ე მუხლით.

შემსრულებელი-ექსპერტ(ებ)ი: ზ. გუბელიძე

ო. გიორგიშვილი

№049 19.12.2023წ. №პე 12-2023

საქართველო, თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ, IVკვ.
ტელ: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

IV qua.vaja-fshavela ave. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 598597959
E-mail: atlant.ltd7@gmail.com

დაკვეთა №25/2022

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ.№164-ში (ს/კ 01.13.07.024.026)
განთავსებული შენობა-ნაგებობების №№1, 2, 5, 33 და 46
შუძე-საძირკვლების საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევის
შ ე დ ე გ ე ბ ი

დირექტორი ზ. კვაჭანტირაძე

თბილისი 2022 წ.

შპს „გეოინჟკომპლექსი"
ჟიული შარტავას ქ. №43დ
თბილისი, 0160, საქართველო

"GEOENGCOMPLEX" LTD
43d Zhiuli Shartava Str., 0160
Tbilisi, Georgia

Tel. (995 32) 37 62 55 E-mail: geo.logi@yahoo.com

სარჩევი

№	მასალების დასახელება	გვერდების და ნახაზების №
	I ტექსტური ნაწილი	
1	ტექნიკური დავალება	1
2	პროგრამა	2
3	საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა	3 – 15
	II ტექსტური ნაწილის დანართი	
4	გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	16 – 17
5	კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	18 – 19
6	წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები და დასკვნა	20 – 23
	III გრაფიკული მასალა	
7	შენობის გეგმები გამონამუშევრების დატანით უბნის ტოპოგეგმა	ფ. №№1 – 3
8	უბნის ტოპოგეგმა ჭაბურღილების დატანით	ფ. №4
9	გამონამუშევრების გეოლოგიური და გაშიშვლებული საძირკვლის ჭრილები	ფ. №№5 – 13
10	უბნის გეოლოგიური ჭრილები	ფ. №№14 – 16
11	პირობითი აღნიშვნები	ფ. №17
12	ფოტომასალა – 5 ფურცელი	

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – არსებული კონსტრუქციების რეაბილიტაცია-გაძლიერების პროექტი.

დამკვეთი – შპს „კარიატიდა“.

ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) განთავსებული №№1, 2, 5, 33 და 46 ნაგებობები.

დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია.

ნაგებობების კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – მეორე.

პროექტით გათვალისწინებულია არსებული შენობების რეაბილიტაცია-გაძლიერება.

ჩატარდეს სარეაბილიტაციო შენობების უბნების საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა და შენობების დაფუძნების პირობების (საძირკვლის ტიპი, ზომები, მასალა და ფუძის გრუნტი) დადგენა.

კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს აკინძული 3 ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიაში.

დანართი: 1. არსებული ნაგებობების ანაზომი ნახაზების გეგმები;
2. ტოპოგადაღება და გენგეგმა.

დავალება გასცა:

პროგრამა

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ.№164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) განთავსებული შენობა-ნაგებობების №№1, 2, 5, 33 და 46 უბნებზე ფუძე-საძირკვლების საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

წინამდებარე პროგრამა შედგენილია სნ და წ 1.02.07-87-ის (საინჟინრო კვლევები მშენებლობებისთვის) 1.19, 1.20, 1.21 პუნქტების, აგრეთვე პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) და სტანდარტი 25100-82 (გრუნტები, კლასიფიკაცია) მოთხოვნათა საფუძველზე.

ჩასატარებელი კვლევის მიზანი: სარეაბილიტაციო №№1, 2, 5, 33 და 46 შენობების უბნების საინჟინრო გეოლოგიური პირობების დახასიათება და შენობების დაფუძნების პირობების (საძირკვლის ტიპი, ზომები, მასალა, ფუძის გრუნტი) დადგენა.

უშუალოდ შენობების უბნებზე, წინა წლებში ჩატარებული კვლევის მასალები ცნობილი არ არის. ტერიტორიის მიმდებარედ შპს „გეოინჟკომპლექსის“ მიერ, სხვადასხვა ობიექტებზე ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, რომელთა მასალები ინახება ადგილობრივ არქივში და საჭიროებისას გამოყენებული იქნეს დასკვნის შედგენისას.

აღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, შენობების უბნებზე გაყვანილი იქნეს 5 ჭაბურღილი, სიღრმით 15 მ-მდე თითოეული. შენობების მზიდი კედლების საძირკვლების გასაშიშვლებლად კი გაყვანილი იქნეს 18 შურფი, სიღრმით სავარაუდოდ 2,0–5,0 მ-ის ფარგლებში.

ბურღვითი სამუშაოები ჩატარდეს მექანიკური-სვეტური მეთოდით, საბურღი დაზგით „უგბ-1ვს“, 160 მმ-მდე დიამეტრით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ლაბორატორიული შესწავლისთვის, ჭაბურღილებიდან და შურფებიდან აღებული იქნეს ნიმუშები, სნ და წ 1.02.07-87-ის პ 3.75-ის მოთხოვნის შესაბამისად.

გრუნტის წყლის გამოვლინების შემთხვევაში აღებული იქნეს სინჯები ქიმიური ანალიზის შესასწავლად, აღნიშნული დოკუმენტის პ 3.56-ის მიხედვით.

გრუნტის ნიმუშებზე განისაზღვროს ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობები, დასახელებული სნ და წ მე-8 სავალდებულო დანართის მოთხოვნის მიხედვით.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, შედგეს საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში (დასკვნა), სნ და წ 1.02.07-87-ის მე-9 სარეკომენდაციო დანართის მიხედვით და აიკინძოს 3 ეგზემპლარად.

შესრულდეს ჩატარებული კვლევის ელექტრონული ვერსია.

შპს „გეოინჟკომპლექსის“
მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ.№164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) განთავსებული შენობა-ნაგებობების №№1, 2, 5, 33 და 46 ფუძე-საძირკვლების საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები

თავი I – შესავალი

შპს „კარიატიდას“ დაკვეთით (ხელშ.№25/2022), შპს „გეოინჟკომპლექსის“ მიერ, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ.№164-ში განთავსებული №№1, 2, 5, 33 და 46 შენობა-ნაგებობების უბნებზე, 2022 წლის მარტის და აპრილის თვეებში ჩატარდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანი ითვალისწინებდა შენობის უბნების საინჟინრო გეოლოგიური პირობების დახასიათებას და შენობების დაფუძნების პირობების (საძირკვლის ტიპი, მასალა, ზომები და ფუძის გრუნტი) დადგენას.

უშუალოდ გამოყოფილი შენობების უბნებზე წინა წლებში ჩატარებული კვლევის მასალები მოძიებული ვერ იქნა. ტერიტორიის მიმდებარედ და დავით აღმაშენებლის გამზირის გასწვრივ შპს „გეოინჟკომპლექსის“ მიერ, წინა წლებში, სხვადასხვა ობიექტებზე ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, რომელთა მასალები დაცულია ადგილობრივ არქივში და განხილული იქნა წინამდებარე დასკვნის შედგენისას.

ზემოთ აღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, ტექნიკური დავალების და მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სნ და წ 1.02.07-87, პნ. 02.01-08, პნ. 01.01-09) მოთხოვნების საფუძველზე შედგა ჩასატარებელი კვლევების პროგრამა. პროგრამის მიხედვით შესრულდა შემდეგი მოცულობის სამუშაოები:

– №№1, 2 და 5 შენობების უბანზე გაიბურღა 2 ჭაბურღილი №№1 და 2, სიღრმით 12,0 მ თითოეული, ხოლო შენობების მზიდი კედლების საძირკვლების გასაშიშვლებლად გაყვანილი იქნა 6 შურფი – №№3÷8, სიღრმით 2–5 მ-ის ფარგლებში.

– №33 შენობის უბანზე გაიბურღა 1 ჭაბურღილი №9, სიღრმით 15,0 მ, ხოლო საძირკვლების გასაშიშვლებლად გაყვანილი იქნა 4 შურფი, №№10–13 სიღრმით 2,5 მ თითოეული.

– №46 შენობის უბანზე გაიბურღა 2 ჭაბურღილი – №№14 და 15 სიღრმით 15 მ თითოეული, საძირკვლების გასაშიშვლებლად გაყვანილი იქნა 8 შურფი – №№16–23, სიღრმით 2,5 მ თითოეული.

სულ შესრულებული სამუშაოების მთლიანი მოცულობა შეადგენს 117 გრძ. მეტრს. აქედან ბურღვა – 69 მეტრს, შურფები – 48 მეტრს.

ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტების ლაბორატორიული შესწავლის მიზნით გამონამუშევრებიდან აღებული იქნა დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის 30 ნიმუში და წყლის 3 სინჯი.

გრუნტის ნიმუშების და წყლის სინჯების შესწავლა ჩატარდა შპს „გეოინჟკომპლექსის“ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. შედეგები ერთვის დასკვნას.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული ტერიტორიის ტოპოგეგმა და სარეკონსტრუქციო შენობების I სართულების აზომვითი ნახაზები, რომელზეც დატანილია გამონამუშევრების განლაგების ადგილები.

თავი II – ტერიტორიის ზოგადი დახასიათება (მდებარეობა და საზღვრები, კლიმატური პირობები, გეომორფოლოგიური, ზოგადი გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები)

ტერიტორია სადაც განლაგებულია სარეკონსტრუქციო შენობები მდებარეობს ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირის №164-ში, ყოფილი კინოსტუდიის ტერიტორიაზე და წარმოადგენდა მათ კუთვნილ შენობებს.

კლიმატური პირობების მიხედვით ქ. თბილისი სუბტროპიკულიდან მშრალ სტეპურში გარდამავალი ჰავით, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით ხასიათდება.

პნ 01.05-08 („სამშენებლო კლიმატოლოგია“) თანახმად, რაიონის კლიმატური მახასიათებლები დიდუბის მეტეოროლოგიური სადგურის (56) მონაცემების მიხედვით შემდეგია:

- წლის საშუალო ტემპერატურა +12,6°C;
- აბსოლუტური მინიმუმი –24°C;
- აბსოლუტური მაქსიმუმი +40°C;
- ნალექების რაოდენობა წელიწადში – 560 მმ;
- ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 33 მ/წმ;
- ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ – W_0=0,60 კპა;
- თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა;
- გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

გეომორფოლოგიურად ტერიტორია წარმოადგენს მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირის ძველი ჭალისზედა ტერასის ნაწილს, სწორი, მდინარისკენ უმნიშვნელოდ დახრის მქონე რელიეფით.

ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ: ზედა ეოცენის (P_2^3) – ძირითადი ქანები და მათი მფარავი ალუვიური (αQ_{IV}) მსხვილნატეხოვანი, დელუვიური (dQ_{IV}) თიხოვანი და ტექნოგენური (tQ_{IV}) მეოთხეული გრუნტები.

მიწისქვეშა წყლები გავრცელებულია მსხვილნატეხოვანი გრუნტის და ძირითადი ქანების კონტაქტის სიახლოვეს, რომელთა კვება ხდება ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციული წყლებით და კომუნიკაციებიდან განაჟონი წყლებით.

წყლები ხასიათდება სხვადასხვა ხარისხის სულფატური აგრესიულობით.

თავი III – საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

როგორც შესავალში აღინიშნა პროექტით გათვალისწინებულია №№1, 2, 5, 33 და 46 შენობების რეაბილიტაცია-გაძლიერება.

№№1, 2, 5 შენობები განლაგებულია ტერიტორიის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. შენობები შეწყვილებულია და წარმოდგენილია ერთ მთლიანობაში. მათი სართულიანობა შესაბამისად შეადგენს 3, 2 და 1-ს. აშენებულია აგურის მასალით და მთლიან სიგრძეზე გააჩნიათ ერთიანი სარდაფი. ვიზუალური დათვალიერებით შენობაზე რაიმე დეფორმაციული ხასიათის დაზიანებები არ აღინიშნება.

როგორც აღინიშნა შენობის უბანზე გაიბურღა ორი ჭაბურღილი – №№1 და 2, სიღრმით 12 მ თითოეული, ხოლო შენობის მზიდი კედლების საძირკვლების გასაშიშვლებლად გაყვანილი იქნა 6 შურფი – №№3, 4, 5, 6, 7 და 8. შენობის მეპატრონის ნებართვით სარდაფის სართულში მითითებულ ადგილებში გაყვანილი იქნა მხოლოდ ოთხი შურფი №№3, 5, 6 და 7, ხოლო ორი შურფი №№4 და 8 გაყვანილი იქნა შენობის გარე ფასადის მხრიდან.

ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით შედგენილია აღნიშნულ უბანზე გაყვანილი ჭაბურღილების და შურფების სვეტების და უბნის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები, ასევე შენობის გაშიშვლებული საძირკვლების ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, უბანზე მიწის ზედაპირიდან 1,5–2,4 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია ტექნოგენური (tQ_{IV}) – ნაყარი გრუნტი, წარმოდგენილი თიხის, კენჭების, ღორღის და აგურის ნატეხების სუსტად შემკვრივებული ნარევით (ფენა 1). ნაყარის ქვეშ, უბნის სამხრეთით (№2 ჭაბურღილის

უბანი) 2,4 მ-ის სიღრმიდან 3,5 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია დელუვიური (dQIV) თიხოვანი გრუნტი, წარმოდგენილი უმთავრესად ნახევრადმყარი კონსისტენციის, ყავისფერი თიხით (ფენა 2). უბნის ჩრდილო მხარეს კი (№1 ჭაბურღილის უბანი), ნაყარი გრუნტის ქვეშ 1,50 მ-ის სიღრმიდან 2,8 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია ალუვიური (αQIV) მსხვილნატეხოვანი გრუნტი, წარმოდგენილი ქვიშნარის 30%-მდე შემავსებლიანი კენჭნაროვანი გრუნტით (ფენა 3). კენჭნაროვანი გრუნტი 3,5 მ-ის სიღრმიდან 4,10 მ-ის სიღრმემდე გამოვლინდა უბნის სამხრეთითაც №2 ჭაბურღილში. კენჭნარების ქვეშ 2,8–4,1 მ-ის სიღრმიდან კვლევის სიღრმემდე 12,0 მ გავრცელებულია ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანები, წარმოდგენილი არგილითების და თიხოვანი ქვიშაქვების მორიგეობით (არგილითების მცირე სიჭარბით). ეროზიული ზედაპირიდან 2,8–2,9 მ-ის სიმძლავრის ფარგლებში ძირითადი ქანები გამოფიტულია (ფენა 4), სიღრმეში გამოფიტულობა თანდათან მცირდება და ქანები ნაკლებად გამოფიტულია (ფენა 5).

როგორც აღინიშნა შურფებით გაშიშვლდა შენობის მზიდი კედლების საძირკვლები. საძირკვლის ჭრილები მოცემულია გრაფიკულ მასალაზე შურფების სვეტების ძირში. როგორც გრაფიკული მასალიდან ჩანს, შენობა დაფუძნებულია ყორე-ქვის ლენტური საძირკვლებით უმთავრესად გამოფიტულ ძირითად ქანზე (ფენა 4). ზოგან საძირკვლების ქვეშ აღინიშნა 0,3 მ-მდე სიმძლავრის კენჭნაროვანი გრუნტის ფენა (ფენა 3).

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ უბანზე გამოვლინდა გრუნტის წყლები მიწის ზედაპირიდან 3,7–3,9 მ-ის, ხოლო სარდაფის იატაკიდან 0,6–0,7 მ-ის სიღრმეების ფარგლებში.

გენეტიკურად წყალი წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების ჩანაჟონ წყალს. მნიშვნელოვანი კვება ხდება ასევე კომუნიკაციებიდან განაჟონი წყლებითაც.

№33 შენობა განლაგებულია ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში. შენობა ერთსართულიანია მაღლივი, ორსართულიანის დონემდე აშენებულია აგურის მასალით, არ გააჩნია სარდაფის სართული.

ვიზუალური დათვალიერებით შენობას აღენიშნება დაზიანებები, მზიდ კედლებზე გაჩენილია ვერტიკალური სხვადასხვა ზომის დეფორმაციული ბზარები, სახურავი დაზიანებულია და ადგილი აქვს წვიმის წყლების ჩამოდინებას შენობის ფარგლებში.

დაზიანებები უმთავრესად გამოწვეულია შენობის სიძველიდან, მიწისძვრებით, კომუნიკაციური და ატმოსფერული წყლების ფუძეში ჩადინებით.

შენობის უბნის მიმდებარედ გაყვანილია ერთი ჭაბურღილი №9, სიღრმით 15 მ, ხოლო მზიდი კედლების საძირკვლების გასაშიშვლებლად გაყვანილია 4 შურფი – №№10, 11, 12 და 13, სიღრმით 2,5 მ თითოეული.

ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით შედგენილია აღნიშნულ უბანზე გაყვანილი ჭაბურღილის და შურფების სვეტების გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები და შენობის მზიდი კედლების გაშიშვლებული საძირკვლის ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, უბანზე, მიწის ზედაპირიდან 1,0–1,2 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია ტექნოგენური (tQIV) – ნაყარი გრუნტი, წარმოდგენილი თიხის, კენჭების, ღორღის და აგურის ნატეხების ნარევით (ფენა 1). ნაყარის ქვეშ 1,0–1,2 მ-ის სიღრმიდან 1,6–2,0 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია დელუვიური (dQIV) თიხოვანი გრუნტი, წარნოდგენილი ნახევრადმყარი კონსისტენციის, ყავისფერი თიხით (ფენა 2). თიხის ქვეშ 1,6–2,0 მ-ის სიღრმიდან 3,6 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია ალუვიური (αQIV) მსხვილნატეხოვანი გრუნტი, წარმოდგენილი ქვიშნარის 30%-მდე შემავსებლიანი კენჭნაროვანი გრუნტით (ფენა 3). კენჭნარები 3,6 მ-ის სიღრმიდან შემოფენილია ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანებით, წარმოდგენილი არგილითების და თიხოვანი ქვიშაქვების მორიგეობით. ეროზიული ზედაპირიდან 2,5 მ-ის სიღრმემდე ძირითადი ქანები გამოფიტულია (ფენა 4), ხოლო სიღრმეში კვლევის სიღრმემდე (15 მ) ნაკლებად გამოფიტული (ფენა 5).

შენობის გაშიშვლებული საძირკვლის ჭრილების მიხედვით შენობა დაფუძნებულია ყორე-ქვის ლენტური ტიპის საძირკვლებით კენჭნაროვან გრუნტზე. საძირკვლის ჭრილები მოცემულია გრაფიკულ მასალაზე.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ №33 შენობის უბანზე კვლევის სიღრმემდე გრუნტის წყლები არ გამოვლენილა.

№46 შენობა განლაგებულია ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. შენობა 3 სართულიანია, უსარდაფო, აშენებულია აგურის მასალით. მესამე სართული შენობას დაშენებული აქვს მოგვიანებით.

ვიზუალური დათვალიერებით შენობას აღენიშნება მკვეთრი დაზიანებები. კედლები ცალკეულ ადგილებში ჩაწეულია, ზოგან დაშლილია, აღენიშნება დეფორმაციული ბზარები.

წინა წლებში შენობას ჩატარებული აქვს გამაგრებითი სამუშაოები. მზიდ კედლებზე შეინიშნება ლითონის მჭიმები. საძირკვლებში ლოკალურ ადგილებში დაფიქსირდა ბეტონის გაძლიერებები.

შენობის უბნის მიმდებარედ გაიბურღა ორი ჭაბურღილი – №№14 და 15, სიღრმით 15 მ თითოეული, ხოლო შენობის მზიდი კედლების საძირკვლების გასაშიშვლებლად გაყვანილია 8 შურფი – №№16÷23, სიღრმით 2,5 მ თითოეული.

ჩატარებული კვლევის მონაცემების საფუძველზე შედგენილია უბანზე გაყვანილი ჭაბურღილების და შურფების სვეტების, შენობის უბნის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები და ასევე შენობის მზიდი კედლების გაშიშვლებული საძირკვლების ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, შენობის იატაკის ზედაპირიდან 0,8–2,10 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია ტექნოგენური (tQIV) – ნაყარი გრუნტი, წარმოდგენილი თიხის, კენჭების, ღორღის და აგურის ნატეხების ნარევით (ფენა 1). ჭაბურღილებით ნაყარის სიმძლავრე დაფიქსირდა 1,2–3,6 მ-ის სიღრმემდე. ნაყარის ქვეშ ცალკეულ უბნებზე გავრცელებულია 0,5–1,2 მ-ის სიმძლავრის დელუვიური (dQIV) თიხოვანი გრუნტი, ნახევრადმყარი კონსისტენციის, ყავისფერი თიხა (ფენა 2). თიხის ქვეშ გავრცელებულია ალუვიური (αQIV) მსხვილნატეხოვანი გრუნტი, ქვიშნარის 30%-მდე შემავსებლიანი კენჭნაროვანი გრუნტი (ფე- ნა 3), რომლის მაქსიმალური სიმძლავრე შეადგენს 2,4 მ-ს. კენჭნაროვანი გრუნტი შემოფენილია ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანებით – არგილითების და თიხოვანი ქვიშაქვების მორიგეობით. ეროზიული ზედაპირიდან ძირითადი ქანები 3,0–3,10 მ-ის სიღრმემდე გამოფიტულია (ფენა 4), სიღრმეში, კვლევის სიღრმემდე (15 მ) კი ნაკლებად გამოფიტული (ფენა 5).

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ №46 შენობის უბანზე, კვლევის სიღრმემდე გრუნტის წყლები არ გამოვლენილა.

შურფებით გაშიშვლებული საძირკვლის ჭრილების მიხედვით, შენობა დაფუძნებულია ყორე-ქვის ლენტური საძირკვლებით კენჭნაროვან გრუნტზე (ფენა 3). შენობის შუა ნაწილში საძირკვლების ქვეშ დაფიქსირდა 0,2–0,3 მ-ის სიმძლავრის თიხის ფენა (ფენა 2). გაშიშვლებული საძირკვლის ჭრილები მოცემულია გრაფიკულ მასალაზე.

სარეაბილიტაციო შენობების უბნებზე აღწერილი გრუნტები გავრცელებულია ერთ გეომორფოლოგიურ ელემენტში, ხასითდებიან ერთგვაროვანი გენეზისით ერთმანეთის იდენტურია და ფენები წარმოდგენილია ერთნაირი ნომრებით.

IV – ბრუნტების და ბრუნტის წყლის ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგები

IV1 – ბრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

როგორც აღინიშნა შენობების უბნებზე გავრცელებული გრუნტების ლაბორატორიული შესწავლის მიზნით, საძირკვლების ქვეშ, აქტიური ზონის ფარგლებში აღებული იყო დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის 30 ნიმუში.

დაურღვეველი სტრუქტურის 24 ნიმუში აღებულია თიხოვანი გრუნტიდან და ძირითადი ქანებიდან (ფენები 2, 4 და 5), ხოლო დარღვეული სტრუქტურის 6 ნიმუში აღებულია მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან (ფენა 3).

ლაბორატორიაში თიხოვან გრუნტზე (ფენა 2) განისაზღვრა ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი, ხოლო ძირითად ქანებზე (ფენები 4 და 5) განისაზღვრა სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_C და სიმკვრივე ρ. სიმტკიცის განსაზღვრა შესრულდა „controls“-ის ფირმის ხელსაწყოზე.

მსხვილნატეხოვან გრუნტზე (ფენა 3) განისაზღვრა გრანულომეტრიული შემადგენლობა, შემავსებლის სახეობა და პროცენტული შემცველობა.

ლაბორატორიული კვლევის შედეგები ერთვის დასკვნას კრებსითი ცხრილის სახით.

ქვემოთ, ცხრილ 1-ში მოცემულია თიხოვანი გრუნტის (ფენა 2) ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და გამოთვლილია საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

ცხრილი 1

№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ მნიშვნელობათა დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	–	0,19–0,23	0,22
2	ტენიანობა		W	%	21,5–25,0	23,7
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,85–1,92	1,88
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1,48–1,58	1,52
		გრუნტის ნაწილაკები	ρ_s		2,73–2,74	2,74
4	ფორიანობა		n	%	42,1–45,8	44,4
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,728–0,845	0,798
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	0,06–0,20	0,12
7	ტენიანობის ხარისხი		S_r	–	0,80–0,82	0,81

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული გრუნტი მიეკუთვნება ნახევრადმყარი კონსისტენციის სრულად წყალგაჯერებულ თიხას (ფენა 2).

ცხრილში მოცემული საშუალო მნიშვნელობები საჭიროებისას გამოიყენება, როგორც ნორმატიული – საანგარიშო.

როგორც ითქვა ზემოთ ძირითადი ქანების ნიმუშებზე (ფენები 4 და 5) განისაზღვრა სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში და სიმკვრივე. კვლევის შედეგები მოცემულია კრებსითი ცხრილების სახით.

ქვემოთ, ცხრილ 2-ში მოცემულია ძირითადი ქანების ფენები 4 და 5 გამოცდით მიღებული შედეგების მნიშვნელობები და გამოთვლილია საშუალო სიდიდეები.

ცხრილი 2

№	გრუნტის დასახელება	ჭაბ.№	ნიმუშების აღების სიღრმე h მ	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში, R_c მპა (კგძ/სმ^2)	სიმკვრივე გ/სმ^3
1	ქვიშაქვა (ფენა 4)	ჭაბ.№1	5,0	6,0(60)	2,31
2		ჭაბ.№2	5,0	6,3(63)	2,26
3		ჭაბ.№15	6,0	6,8(68)	2,32
საშუალო მნიშვნელობა				6,37(63,7)	2,30
4	არგილითი (ფენა 4)	ჭაბ.№1	3,0	2,2(22)	2,08
5		ჭაბ.№9	4,0	2,0(20)	2,12
6		ჭაბ.№14	4,0	2,6(26)	2,09
საშუალო მნიშვნელობა				2,3(23)	2,10
7	ქვიშაქვა (ფენა 5)	ჭაბ.№1	9,0	9,7(97)	2,39
8		ჭაბ.№1	11,0	11,2(112)	2,42
9		ჭაბ.№2	8,0	9,8(98)	2,38
10		ჭაბ.№9	7,0	9,3(93)	2,40
11		ჭაბ.№15	8,0	10,6(106)	2,36
12		ჭაბ.№15	12,0	10,1(101)	2,44
საშუალო მნიშვნელობა				10,1(101)	2,40
13	არგილითი (ფენა 5)	ჭაბ.№1	7,0	3,4(34)	2,18
14		ჭაბ.№1	10,0	4,1(41)	2,22
15		ჭაბ.№2	10,0	3,8(38)	2,19
16		ჭაბ.№14	8,0	3,8(38)	2,17
17		ჭაბ.№14	10,0	4,2(42)	2,23
18		ჭაბ.№15	10,0	3,2(32)	2,20
საშუალო მნიშვნელობა				3,8(38)	2,20

ცხრილში მიღებული სიმტკიცის ზღვრის საშუალო მნიშვნელობით ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში, პნ 02.01-08-ის დანართი 1-ის საკლასიფიკაციო ცხრილი 1-ის თანახმად, ტერიტორიაზე გავრცელებული ქვიშაქვები (ფენები 4 და 5) მიეკუთვნებიან მცირე სიმტკიცის კლდოვან გრუნტებს, ხოლო ორივე ფენის არგილითები ნახევრადკლდოვან გრუნტებს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ძირითადი ქანების მდგენელი ფენების სიმტკიცის მახასიათებლები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

